



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 231 2014 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 535) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა)  $P=1$ , თუ ინტერვიუერის სუბიექტური შეფასებით ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობაა „უკიდურესად ღატაკი“;

ბ)  $p=0.75$ , თუ ინტერვიუერის სუბიექტური შეფასებით ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობაა „უკიდურესად ღატაკსა და ღატაკს შორის“;

გ)  $p=0.5$ , თუ ინტერვიუერის სუბიექტური შეფასებით ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობაა „დატაკი“;

დ)  $p=0.25$ , თუ ინტერვიუერის სუბიექტური შეფასებით ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობაა „დატაკსა და ღარიბს შორის“;

ე)  $p=0$ , თუ ინტერვიუერის სუბიექტური შეფასებაა „ღარიბი“, „ღარიბსა და საშუალო შეძლებას შორის“, „საშუალო შეძლების“, „საშუალო შეძლებასა და მდიდარს შორის“ ან „მდიდარი“;

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი